

**სტრანდურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 9 ივნისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• ტესარი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ – (განაცხადი №37400/06)

აპლიკანტები ვლადიმირ ტესარი, ოლგა ტესაროვა და იაროსლავა ტესაროვა სამივე ჩეხეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1957, 1960 და 1932 წლებში და ცხოვრობენ პრაღაში (ჩეხეთი). 1977 წელს, ვ. ტ.-მ, აპლიკანტების მამამ და მეუღლემ, ჩეხოსლოვაკიის მთავრობისაგან შეისყიდა სახლი, რომელიც შემდგომში კონფისკაციის შედეგად გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. პირმა, რომელსაც ჩამოართვეს ეს საკუთრება, სარჩელით მიმართა სასამართლოს და რესტიტუციის პროცესი წარმატებით დასრულდა. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილსა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ წინააღმდეგ წარმოებული რესტიტუციის საკითხის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარეობდა და კეთილი ნებით შეძენილი ქონება ისე ჩამოერთვათ, რომ ვერ მიიღეს შესაბამისი კომპენსაცია.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო, ხოლო მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ აპლიკანტების სახარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულისათვის 5500 ევროს გადახდა, ხოლო 2500 ევროს გადახდა ერთობლივად ტექნიკური დანახარჯების დასაფარად.

• ლუჩანინოვა უკრაინის წინააღმდეგ – (განაცხადი №16347/02)

აპლიკანტი ოლგა ლუჩანინოვა უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1947 წელს და ცხოვრობს ტროსტიანეცში (უკრაინა). საქმე ეხება მის საჩივარს უსამართლო განხილვების თაობაზე, რომლის შედეგადაც ის დამნაშავედ სცნეს კომპანიიდან 35 იარღიყის მოპარვაში, სადაც ის მფუთავად მუშაობდა. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ განხილვები სასამართლოში არ მიმდინარეობდა საჯაროდ და რომ მას მიესა ადექვატური დრო და საშუალებები მომზადებულიყო დაცვისათვის ან კოსულტაცია მიეღო ადვოკატისაგან, რადგან მოსამართლე 2000 წლის 6 ნოემბერს მივიღა მასთან კლინიკაში, სადაც ის 6 წლის შვილიშვილს უვლიდა და საქმის განხილვა შედგა მის ოთახში. ამას გარდა განმცხადებელი ჩივის კონვენციის მე-7 ოქმის II მუხლის დარღვევია თაობაზე, რადგან არ მიეცა საშუალება გაესაჩივრებინა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 2000 წლის 6 ნოემბრის განაჩენი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანი განხილვის ნაწილში, რადგან არ მოხდა საჯაროდ განხილვა და ასევე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ და „ც“ ქვეყნებზეთან მიმართებაში. რაც შეუხება კონვენციის

მე-7 ოქმის II მუხლის, სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საქმის სამართლიანი დაქმაყოფილების მიზნით სახელმწიფოს აპლიკანტის სასამართლოდა დაეკისრა 3000 ლარს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- **უელტიაკოვი უკრაინის წინააღმდეგ – (განაცხადი №4994/04)**

აპლიკანტი ოლეგ უელტიაკოვი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს ვინიციაში (უკრაინა). საქმე ეხება 2000 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლის თანახმადაც განმცხადებელს მიენიჭა კომპენსაცია მისი სახლის ნაწილობრის დანგრევის გამო და ასევე გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ხანგრძლივ გაჭიანურებას. ის ასევე ჩივის შესაბამისი სასამართლო განხილვების გაჭიანურების თაობაზე და მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის სამართლიანად განხილვის კუთხით, ასევე დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურების განხილვის გამო და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი საკუთრების დაცვის უფლების დარღვევის გამო.

სახელმწიფოს დაეკისრა 30640 ლარს და 6200 ლარს გადახდა აპლიკანტის სასამართლოდ მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.